

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43
კანტორა რედაქციისა: მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

ხელის-მოწერა: მიიღება კანტორაში, ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. ВЪ редакціи газ. „Дროზა“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ხოველ დღე ორშაბათს გარდა

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე. **ფასი განცხადებისა:** დღეობისათვის კბით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

დროება

საქმე ნომერი ღირს შაუხათი

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ნახევარი წლის ხელის-მოწერა „დროებაზე“

ამ პირველი ივლისიდან ვიდრე 1878 წლის პირველ იანვრამდე

მიიღება თფილისში, „დროების“ რედაქციაში (ბანოვის ქუჩაზე, სტ. მელიქიშვილის სტამბაში). სხვა ქალაქებში „დროების“ აგენტებთან.

ფასი ნახევარ წლის გაზეთისა—4 მან. და 50 კაპ.

ძალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ აღრესით უნდა დაიბარონ: ВЪ Типографіи. ВЪ редакціи газеты „Дროзба“.

ტელეგრაფები

მინა, 19 ივლისს. ხვალ იქნება სხდომა ავსტრო-ვენგრიის სამინისტროსა, რომელსაც დაესწრება თვითონ იმპერატორი ფრანც-იოსიფი. მოილოპარაკებენ იმაზე, რომ გამოიხმონ და საომრად მოამზადონ ორი კორპუსი ავსტრო-ვენგრიისა.

ავსტრია და ინგლისი იმიტომ როდი ემზადებიან საომრად, რომ ამ აღმოსავლეთის ბრძოლაში რაიმე მონაწილეობა მიიღონ, არამედ მხოლოდ იმისათვის, რომ იმათ სიტყვას ძალა და მნიშვნელობა ექმნეს, როცა დიპლომატიური მოლაპარაკება ჩამოვარდება აღმოსავლეთის საქმის გადაწყვეტის დროს.

ლონდონი, 19 ივლისს. გაზეთი „Times“ ამბობს, რომ მალტის კუნძულზე აღარ გაიგზავნება კიდევ ინგლისის ჯარი. სამგზავროთ დანიშნულს ჯარებს ბრძანება მოუვიდათ, რომ ინდოეთში უნდა წავიდნენ.

საზოგადოებათა პალატაში მინისტრმა ნორტოკოტმა სთქვა, რომ ბრიტანიის ფლოტი ბეზიკის ნავსადგურად არ გამოსულა, ის ამ ნავსადგურის ახლომახლო დაიარება ზღვაშია.

მინა, 18 ივლისს. ნემეცურს გაზეთებში იწერებინ, რომ ნიკოპოლში დაყენებულ რუმინის გარნიზონის სარდალს

—ღენერალ მანუს რუსის სამხედრო მთავრობისაგან მიწერილობა მოუვიდა, რომ როცა საჭიროება მოითხოვს, ამ რუმინის გარნიზონმა რუსის ჯართან ერთად იმომექდას და მონაწილეობა მიიღოს ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ოქის აზრები

აზრის ბრძოლის ველიდამ

მრთს ინგლისურს გაზეთში („Daily News“) დაბეჭდილია შემდეგი, 6 ივლისს, მუთათისიდან გაგზავნილი კორრესპონდენტის:

„მრთი უმთავრესი მიზეზთაგანი იმისი, რომ რუსის ჯარს ოსმალეთში ამდენი ზიანი მისცეს აქეთკენ, განსაკუთრებით სინის-ძირთან ბრძოლის დროს, იმაში მდგომარეობს, რომ აქაურ რუსის ქვეითთა ჯარს ისეთი კარგი თოფები არა აქვთ, როგორც ოსმალთა. მე თვითონ ჩემის თვალთ ვნახე ჯარები, რომელთაც ძველი, ტალ-კვეის თოფები აქვთ, მაშინ როდესაც ოსმალოს ყველა ჯარს დარიგებული აქვთ საუკეთესო ახლისსისტემის (შნიდერის, მარტინის და სხვა) თოფები. არათუ მეროპის ბრძოლის ველზე და არათუ მარტო რეგულიარულ ოსმალოს ჯარს, აზიასა და ყველგან ჩერქეზებსაც კი ამისთანა მსწრაფლ-მსროლელი თოფები აქვთ.“

„ამით აიხსნება ის ვარემოება, როგორც ზევით ვამბობ, რომ ბათუმისაკენ ამდენი ხალხი დაესოცა რუსებსა და რომ ოსმალოების მხრით კი შედარებით უფრო ნაკლებია დახოცილი.“

შარსთან დაყენებულის ოსმალოს ჯარის ბანაკიდან გაზეთის „Times“-ის კორრესპონდენტი იწერება 5 ივლისს:

„მუხთარ-ფაშა ჯერ კიდევ აქ არის, მიზინკეში. ჩინებული ჯარი ჰყავს და ჩინებულად გამაგრებულს ალაგებულად არის დაბანაკებული. რუსები კი ამჟამად მურუქ-ქარასთან არიან გაჩერებულნი. ტერ-ლუკასოვი რუსის სამხედროსადგავიდა და იკლდრში დგას; იმის მოწინააღმდეგე ოსმალოს ჯარი იკლდრის მახლობლად არის გაჩერებული მუხინთან.“

„ახალი ლუბერნატორი პრზრუმისა, როგორც ეტყობა, ძალიან მარჯვე და ენერგიული კაცი უნდა იყოს. პრველდღე აგზავნის ის აქეთკენ, შარსისაკენ

ახალ ქვეითთა და ცხენოსან ჯარს, აგრეთვე მოკვდის დიდ-ძალი სურსათი და ყოველგვარი საომარი იარაღები.“

პეტერბურღის გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი ტელოგრაფია, ქავკასიის არმიის შტაბის უფროსისაგან 13 ივლისს გაგზავნილი თფილისიდან:

„ღენერალის ალხაზოვის ჯარმა 10 ივლისს დაჭირა მტრისაგან გამაგრებული ალაგები სოფ. მერკულკასთან. მტერმა დასტოვა ბრძოლის ველზე 48 მოკლული კაცი და ამას გარდა ბევრი თოფ-იარაღი და სურსათი. ჩვენის მხრით მოკლულია ერთი აფიცერი და ორი სალდათი. მერკულკის ალგების დროს მეორე ნაწილი ჩვენი ჯარისა ოჩამჩირესთან დაეცა მტერს; აქ ზღვიდამ ოსმალოს ხომალდებმა გვესროლეს ყუმბარები.“

ამავე გაზეთებიდან ეტყობულობთ, რომ ოსმალთს დამოსულა 3,000 კაცი ოსმალოს ჯარი იმ განზრახვით, რომ არტაანს დაეცნენ. ამბობენ, ამ ქალაქში დაბანაკებულ პოლკ. პომაროვის ატრიადს არაფერი შიში არა აქვს, რადგან ამ მოკლე ხანში იქას ახალი ჯარი მოუვიდაო.

„მმართველობის მოამბეში“ გამოცხადებულია სია რუსის არმიის დაჭრილ და დახოცილ აფიცრებისა და სალდათებისა; ამ სიიდან ჩანს, რომ 25 ივნისიდან დაწყებული, ვიდრე 2 ივლისამდე აზიისა და მეროპის ბრძოლის ველზე დახოცილა სულ: 16 აფიცერი და 409 სალდათი; დაჭრილი; 53 აფიცერი და 1,135 სალდათი. ომიანობის დაწყებლამ ამ ორსავე ბრძოლის ველზე დახოცილების რიცხვი შეადგენს 6,189 კაცს.

მეროპის ბრძოლის ველიდამ

მრთი ნემეცური გაზეთი („Presse“) გვაცნობებს, რომ ბერლინში და ვენაში იმედი აქვთ, რომ მომავალ შემოდგომამდე, ავით იქნება თუ კარგათ, უქველად უნდა გათავდეს ეს რუქ-ოსმალოს ბრძოლა და მაშინ ვენაში შეიკრიბება მეროპის კონფერენცია მორიგების პირობების გადასაწყვეტათაო. სწენებული გაზეთი ამბობს, რომ ეს ბრძოლის საქმე

ისე მსწრაფლად მიდის, რომ შემოდგომამდინ ერთ-ერთი მებრძოლი უეჭველია შერიგების შუამდგომლობას სთხოვს მეროპასაო; მეროპა გაერევა ამ საქმეში და იმედია რომ მაშინ საბოლოოთ გადაწყდება ეს მუდამ ქვეყნის ამღელვებელი აღმოსავლეთის სექცეო.

პარიჟელი კორრესპონდენტი ლონდონის გაზეთის („Times“-ის) შემდეგ ამბავს იწერება ამ გაზეთში:

„რუსის აქაურმა (ინგლისის) ელჩმა გრაფ შუვალოვმა სთხოვა თ. ბორჩაკოვს, რომ რუსეთის სამხედრო მთავრობამ ყველა უცხო ქვეყნის გაზეთების კორრესპონდენტებს მისცენ ნება იმ ალბუმების დაეღისა; საცა კი ამბობენ, რომ ვითომც ჩვენმა ჯარმა სხვა-და-სხვა ბარბაროსობა ჩაიდინაო; როცა ეს კორრესპონდენტები კარგათ გამოიძიებენ და დარწმუნდებიან, რომ რუსებს ბოლგარიაში არავითარი ბარბაროსობა არ ჩაუდენიათ, შემდეგ ამათი, ხელ-მოწერილი კორრესპონდენტები და დოკუმენტები გამოიგზავნონ მე იმისთვის, რომ საქვეყნოთ გამოვაცხადოვო.“

ნიკოპოლის კომენდანტმა ჰასან-ფაშამ, სწერს ინგლისური გაზეთის „Times“-ის კორრესპონდენტი, გამოუცხადა ზოგიერთ რუსის მმართველობის მაღალ პირებს, რომ იმას, როგორც დივიზიის ლენერალს, უნდა ჰყოლოდა 15,000 კაცი, ოთხი ბატარეა და შესაფერი რიცხვი ცხენოსანი ჯარი, მაგრამ მას ჰყენდა მარტო 5,000 კაცი, 2 ბატარეა და არცერთი ცხენოსანი. ამ გვარი ჯარით ის გაუმაგრდა 22 საათის განმავლობაში რუსის ჯარის სროლას და 14 საათი რუსის ქვევითა ჯარს. ის ძალიან ჩივის ოსმალთს მმართველობის უყურადღებობაზე, რომლის მიზეზითაც მათ დაკარგეს ნიკოპოლი, ის ამბობს, რომ სალდათები ისე უხალისოთ და უნადვლელათ ეკიდებოდნენ საქმეს, რომ იმას თავის ხელით სამი სალდათი მოეკლა. რუმინის სამხედრო მინისტრისთვის ეთქვა, რომ რუსებს ბოლგარიაში გადასვლისა და ოსმალთს სალდათების უხალისოთ საქმის მოკიდების მიზეზი ის არისო, რომ ოსმალთებს არა აქვთ სამყოფი სამხედრო მასალები და ყველაფერი, რაც ესაჭიროება იმასაო.

ოსმალთს უცხო ქვეყნის საქმის მინისტრმა შეატყობინა ყველა წარმომადგენლებს, რომ 9 ივლისს მიღებულია ტელეგრაფმა მიდინის კომენდანტისაგან, პლენინდამაო, რომ ოსმან-ფაშას 7 ივლისს, 7 საათის ფიცხელი ბრძოლის შემდეგ, რუსის ჯარი უკუ-უქცევა და ძალიან ბევრი ზარალიც მიუციათ იმისათვის. მეორე დღეს რუსები კიდევ დიდს

ძალით მოვიდნენო, მაგრამ მაშინაც გაიქცნენო დიდის ზარალითაო. ოსმალთებს დარჩათ ბევრი თოფები და ბევრი სხვა სამხედრო მასალებიო.

მენილამ სწერენ, ტელეგრაფმა პეტერბურლის ნემეცურს გაზეთში, 12 ივლისს, რომ პორტამ გადაწყვიტაო, რომ, თუ რუსებმა აიღეს ადრიანოპოლი, მაშინ ოსმალთს მმართველობა გამოჰფენსო მაჰმადის დროშას იმ განზრახვით, რომ ყველა ქვეყნის მაჰმადიანები გამოიყვანონ რუსების წინააღმდეგ საბრძოლველად.

„დროების“ კორრესპონდენტი

მალარო, 15 ივლისს. აი, ნახეთ—როგორი საზიზღარი საქმეები ხდება ხოლმე ხანდისხან ჩვენს და ისიც ვისგან:

ამ ივლისის 2-ს საღამოს, ხშირს ბინდისას, ერთს გლენ-კაცს მცხოვრებელს სოფ. ნუკრიანში მოჰყვანდა თავისი ნათესავი ლამაზი ქალი შაქირიდგან და გამოატარა სიღნაღის მოედანზედ, რადგანაც გზა ის არის თავის სახლისკენ და მიდიოდნენ ს. ნუკრიანში. სიღნაღის პოლიციის პრისტავმა თ. ალექსანდრე შაჩნაძემ დაინახა ეს ლამაზი ქალი, მოეწონა და დესეტნიკებს უთხრა, რომ მავანმა და მავანმა კაცმა რომ ესა და ეს ქალი გაატაროს, აქ მოიყვანო, უბილეთონი იქნებანო.

წავიდნენ დესეტნიკები მოსაყვანათ და ცოტა ხანს უკან მოიყვანეს გლენი კაცი და ლამაზი ქალი. პრისტავმა მოსთხოვა მათ ბილეთი. მღენი ეუბნება: „ბატონო, თქვენ ხომ მიცნობთ, ვინცა ვარ,—და თითოთ ანიშნებს,—აანგე პირდაპირ არი ჩვენი სახლი, აქ რა ბილეთი მინდა ჩემ სოფელში!“ პრისტავი შეუწყვილებს დესეტნიკებს, რომ წაიყვანონ და საპატიმროში ჩააგდონ გლენი-კაცი და ქალი კი იქ დარჩეს. მღენი ეხვეწება: „ბატონო, თუ გინდ მთელ სიღნაღის ჩაღბს თავდებათ მოგიყვან, რათ მიჭერ! თუ გინდ მომკლათ, ამ ქალს მარტოკა აქ არ გაუშვებ თქვენთან; ნახევარ საათი ვადა მომეცით მაინცა, რომ ვინმე გავგზავნო და სახლობას შევატყობინო. ეს ქალი შინ წაიყვანონ და მე რაც გინდა მიყვირო.“ პრისტავი ამოჰკრამს პანჩურსა და კიბეებიდგან ძირს აგდებს გლენს და უბრძანებს დესეტნიკებს: „ჩქარა წაათრიეთ, ნუ აყებდებთ მაგ მა... შემდეგ რომ მოხვიდეთ; ეს ქალიც მავანს ოთახში დაატუსაღეთო.“

ძალი სტირის ცხარეს ცრემლით, ეგრეთვე გლენი, მარამ რას გააწყობენ პრისტავთან: ეს მისი ქცევა სწორეთ იმ

მდივანბეგის ქცევას ემსგავსება, რომელსაც უუქვამს:

მბლის ვედრება, ტირილი ჩემთვის იყო გაუგებრად; ბანა ვიყავ მე გულჩვილი? სხვის ტირილი მინდა მღერად!

სწორეთ რომ ეს ჩვენი კულა პრისტავი ისე იქცევა და სხვის ტირილი იმას მიაჩნია მღერად.

ამათი ხევეწა და ტირილი არაფრათ არ ჩააგდო და ფიცხლავ იმის ბრძანებით წაიყვანეს დესეტნიკებმა გლენი საპატიმროში და დაატუსაღეს; შემდგომ მობრუნდნენ და წაიყვანეს ახლა ქალი.

პრისტავმა ამოარჩია სიღნაღის გალავანზედ ერთი კოშკი, რომელიც არის მივარდნილს ადგილას და შეაყვანინა ის ლამაზი ქალი იქ. ეახშობის დროს პრისტავმა მიატანინა იქ დესეტნიკებს ზაკუსკეული და თვითონაც შევიდა.

იმ ღამეს დატუსაღებულ ქალს რაც უნდა უარი ეთქვა, რას გააწყობდა, და ამ სახით პრისტავმა აისრულა თავის ბოროტი გულის ბოროტი წადილი... რაქნა საწყალ ქალს? მარტო ქალი რას გააწყობდა!

იმ ღამეს ქალს უღონდება გული და პრისტავი დესეტნიკებით უბრუნდნენ გულს. მეორეს დღეს დილით ადრიან განთიადისას გაანთავისუფლა ივინი ტუსალობისაგან, ამ სიტყვებით: „ჩქარა დაეშურნით, ნახალნიკმა არა გნახოთ, თორემ ერთს თვემდის აღარ გაგიშვებთო.“

როგორც შივიტყე, ამ საქმეზედ იწყობა საჩივარი. ეს გარემოება მეორეს დღეს მთელმა სიღნაღის საზოგადოებამ და ნახალნიკმაც გაიგო და დღეს უზღმიაც კი ამას ლაპარაკობენ.

მალაროელი

უცხო ქვეყნები
საზრანგეთი

რუსული გაზეთის „ხმის“ მთილისელი კორრესპონდენტი, რომლის წერილიდამაც რამდენიმე ადგილი, ამას წინეთ, „დროებაშიაც“ იყო მოყვანილი, თუმც თითქოს აყვედრის მთილისის გაზეთებს, რომ იმათი უმთავრესი ყურადღება,—მეროპის სახელმწიფოების პოლიტიკური ცხოვრების მიმოხილვაში, საფრანგეთზედ არის მიქცეულიო,—მაგრამ, არ შეგვიძლიან, რომ დღესაც და რასაკვირველია შემდეგ ნომრებშიაც, არ მოვიყვანოთ საფრანგეთის ესლანდელი პოლიტიკური ცხოვრებიდამ და მოძრაობიდამ რამდენიმე ცნობები.—მერც მთილისის გაზეთებს და ვერც სხვა ქვეყნელების და ხალხების გაზეთებს ვერავინ



ვერ დასძრახავს, რომ იმათი უმთავრესი ყურადღება, შედარებით სხვა სახელმწიფოებთან, უფრო საფრანგეთის საზოგადო-პოლიტიკურს და სამოქალაქო ცხოვრებაზედ არის მიქცეული. იმისთანა ხალხი, რომელმანც ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში, რამდენსამე თავის შეფეს, როგორც ჩვენში იტყვიან, კუდიტ ქვა ასროლია, რომელმანც, რამდენჯერმე მოსპობილი რესპუბლიკური მმართველობის წესი, ისევ უკან დაიბრუნა, რომელმაც ერთი წლის განმავლობაში ხუთი მილიარდი ფრანკი ოქროთი გარდინა და მეორე წლის განმავლობაში კი ეს თავის ოქრო სიმდიდრე, თავისი აღებ-მიცემობის წყალობით ისევ უკან დაიბრუნა, რომელმანც თავისი გამაჩინილი სწავლული შვილებით მთელი კაცობრიობის წინ წასვლას განათლების გზაზე ამდენათ დაეხმარა და ეხმარება და სხვა და სხვა, — ამისთანა ხალხი, და მისი სამაგალითო ცხოვრების ყოველი მხრით შესწავლა ყველასათვის, ყველა ხალხისათვის, სასარგებლო და სამაგალითო უნდა იყოს მათი მომავალი ცხოვრებისათვის სახელმძღვანელოთ.

საფრანგეთმა მთელი ქვეყნის პოლიტიკური ლიტერატურის ყურადღება დღეს და გუშინ კი არ დაიმსახურა, არამედ ორი სამი საუკუნით წინ.... ღიახ, დიდი ხანია ასე არის და რასაკვირველია რომ დღესაც, როდესაც ამ ერთი თვის განმავლობაში ამ საფრანგეთის რესპუბლიკის ბედის გარდაწყვეტას მოელოან, რომელსაც, იმის დაგვართ, თუ როგორ გარდაწყდება, სხვა სახელმწიფოების პოლიტიკურს ცხოვრებაზედაც განვლენა ექნება, უფრო მეტს ყურადღებას იპყრობს. ამ გვართ თავის მართლების შემდეგ, მიუბრუნდეთ საგანს.

შრანცუზული გაზეთი „Temps“ ასე გეხატავს მომავალ ამორჩევებისათვის რესპუბლიკური პარტიის მომქმედების პროგრამას: „რესპუბლიკელები აჩვენებენ ამომრჩევლებს იმ მიზს, რომელიც მომავალში, თუ ისინი ფრთხილად და წინდახედვით არ მოიქცნენ, რესპუბლიკას მოეღოს, და ამასთან, რასაკვირველია, ისინი თავიანთი ჰაზრის დამაშტკიცებელს ფაქტებსაც მოიყვანებენ. რესპუბლიკელები გაახსენებენ თავიანთ ამომრჩევლებს, რომ დღევანდელი მინისტრების კაბინეტის თავი იყო 12 (24) მაისის საქმის მეთაური, ე. ი. იმ შეთქმულობის მეთაური, რომელსაც მიზნათ, ბურბონების სასარგებლოდ, არეულობის მოხდენა ჰქონდა, რომ დღევანდელ სამინისტროსაც თავისი იმედი მონარხიული პარტიების კავშირზე აქვს

დამყარებული და იმისთანა მდგომარეობაშიაც იმყოფება, რომ რესპუბლიკურ დაწესებებების მომხრენი — მისი მოწინააღმდეგენი არიან, და მტრები კი, მათი მომხრენი და მოკავშირენი. რესპუბლიკელები დაასახელებენ იმ გაზეთებს, რომელთაც დაიცეს 16 მაისის ამ ეხლახანად (სამინისტროს ცვლილების) არეულობა, რომელთაც იმედი გამოაცხადეს და თითქმის უხაროდათ, რომ ამ მოკლე ხანში რესპუბლიკა უნდა მოისპოს, რომელნიც მმართველობას აქეზებდნენ და უჩვენდნენ არსებული მმართველობისა ძალით მოსპობას. რესპუბლიკელებს იმედი აქვსთ დაამტკიცონ, რომ მხოლოდ რესპუბლიკას შეუძლიან საფრანგეთს თავიდან ააშოროს რევოლიუცია (არეულობა), დაიფაროს იგი კლერიკალებისაგან და გარეშე სახელმწიფოების საქმეებში საფრთხილო გარევისაგან. ჩვენ პირდაპირ ვანობთ, ამბობენ რესპუბლიკელები, რომ რესპუბლიკის საზოგადო საქმე — მშვიდობიანობაა. ბრმა უნდა იყოს კაცი, რომ ვერ ხედავდეს, ერთი რომ ამ არეულობის, შედეგად რომლის სასარგებლოთაც უნდა იყოს — ბურბონების, ორლეანისტების, თუ ბონაპარტისტების, უთუოთ ომი ექნება და მეორეთ, რომ კლერიკალების გაუფლება საფრანგეთში ძრიელ საშიში შეიქნება იტალიის ერთობისათვის.

სამღვდლოების კრება თელავში

„ღროების“ მე-84 ნომერში დაბეჭდილი იყო სიღნაღის კორრესპონდენცია სამღვდლოების კრებაზედ სოფელს მაქირში. შეხსომებათ — თუ რით დაუწყვია კრებას სჯა და რით გაუთავებია. დაუწყვია სჯა პირველად ომიანობაზედ და თავიანთი საქმე კი „არათი“ დაუბოლოებია. მერავინ წარმოიდგენდა, თუ მაქირში ნათქვამ „არას“ თელავის საზოგადო კრებაშიც ასეთივე ძალა ექნებოდა; მაგრამ, სამწუხაროდ, ხუთმა იელისმა ნათლად დაგვანახვა ამ მანებელი აზრის გავლენა კრებაზედ. ბევრჯელ ვეცადე, რო მოვეყოლოდი ამ გვარ კრებაებში და გამეგო ჩენი სამღვდლოების გონების ძალა და მოქმედება; მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, ყოველთვის შეუსრულებელი მრჩებოდა ეს ჩემი ნატერა სხვა და სხვა მიზეზების გამო. დღეს კი, თითქო განგებ, უცებ შევხვდი ნატრულ კრებას. ჩემს გარდა იყვნენ კიდევ სხვა უცხო პირნიც, რომელნიც მოუთმენლად მოველოდით საქმის დაწყობას; მით უფრო საინტერესო იყო ეს კრება, რომ აქ იყ-

ვნენ მოწვეულნი არამც მმართველნი და პუტატები, არამედ თუთ ქვეყნის მმართველებიც. ეს კრება საინტერესოა ყველასათვის უფრო იმისთვის, რომ გაეგო კაცს, თუ რამდენათ წასულა წინ გონებით ეს ჩენი ახალგაზდა სამღვდლოება ძველებზედ და ან რა გარჩევაა ამ ორ თაობაში. ამას ნათლად დაგვანახებებს 5 იელისის კრება.

აი ველირსეთ ამ კრების დაწყებასაც! საზოგადო სიჩუმე ჩამოვარდა კრებაში. ამ დროს წამოდგა თელავის სასწავლებლის უფროსი (ზედამხედველი) და წარმოსთქვა მოკლეთ, თუ რისთვის არიან დღეს შეკრებილნი და ან რა უნდა გარჩეონ ამ კრებაში. ამასთანავე წარმოუდგინა ანგარიში და სასწავლებლის მოთხოვნილებები, რომლებიც თვითეულათ და გარკვევით აუხსნა კრებას. მათათვა თუ არა სასწავლებლის უფროსმა თავისი მოვალეობა, ადგა და კარში გამოვიდა.

შეიქნა მღვდლებში გაცხარებული ბაასი, რომლებსიგანაც უფრო მომეტებულ ნაწილათ „არა“ გამოისმოდა.

ამ დროს წამოდგა თავსმჯდომარე და სთხოვა, რომ ყველანი გაჩუმებულიყვნენ. მე ამ დროს უფრო უკეთ მოვემზადე გასაგონათ და ყურ-ფხიზლათ ვიდგე და ველოდი, თუ რომელ მოთხოვნილებაზედ დაიწყობდა ლაპარაკს. მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ რასაც მე მოველოდი ის კარგათ გამეგონა და დამეხსომებინა, აი რა სამწუხარო სიტყვები მოისმა თავსმჯდომარისაგან:

„რადგან ზოგიერთი დეპუტატთაგანი უკმაყოფილონი არიან უცხო პირების დასწრებაზედ ამ სიეზღში და თხოულობენ, რომ ამ გვარი პირნი დათხოვნილნი იყვნენ ამ სჯის დროს, ამისათვის გთხოვთ ყველა უცხო პირთ, თუ შეიძლებოდა კარში მიბძანდეთ.“

შენს მტერს მოსწყდეს წელი, როგორც მე მომწყდა წელი! მაგრამ რას ვიქმოდი, მეტი ღონე არ იყო, უთუოთ უნდა გამოვსულიყავ და უნდა მოვეკლებოდი იმ ჩემი სურვილის აღსრულებას, რომელსაც ამ დრომდის მოუთმენლად ველოდი.

შანა დავიჯერო, რომ ჩვენ მღვდლებს იმოდენა არ ეყურებათ, კარ-ღია სხდომაში კერძო პირის ყურის-გდება არ უნდა აღეკრძალოს? შრიგო არ იქნებოდა, რომ თავსმჯდომარეს შესაწყნარებელი საბუთი წარმოედგინა უცხო პირების დათხოვნაზედ და არა ორი პირის პატივსადებულად და უფრო თავის საკუთარი განკარგულების ასასრულებლათ. ჩვენთვინ საინტერესოა შევიტყოთ, თუ რა მიზეზით დაითხოვა კრებამ ეს უცხო პირ-

